ოთხშაბათი, 28 იანვარი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ოთხშაბათი 18 იანვარი 1904

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 21 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 21

სმ დანაწ-:ს ს.ს. მ.ნ — თიბახელის მო დრო — მ.წრე

**წლიურის ფასის** თვის დ **ნაწილად შემოტანისწილ!**

1. ხელის მოწერის ს ვადაი 4 მ, მარტის 1— დროსვე წარიამობისთვის 1-ს—3 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1 ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

გავახსენებთ იმ ჩვენს ხელის-მომწერთ, რომელთაც სრულად არ წარმოუდგენიათ წლიური ფასი გაზეთისა, 1 თებერვლამდე წარმოადგინონ დანარჩენი ფულიცა, რადგან პირველი პრემია გაზეთისა—,,ღალატი" უკვე მზად არის და 1 თებერვალს დაეგზავნებათ წლიურ ხელის მომწერთ.

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი **უპრემიოდ**: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიათ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის" **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათმდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბურთალოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ,, მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: **Тифлисъ, Редакція „Иверія".**


**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარარე მხატვარი **ტარასი საშონი შე მომცელიძე.**



გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.



№ 45 აბონ. № 14

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 29 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

**ქ-ნ ეფემია მესხის** მონაწილეობით

## ღალატი

დრამა 5 მოქ. თ. სუმბათიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, ღ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, მ. მატარაძე, შალიკაშვილი, სარჯველაძე, იორდანიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად; ქ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ ,,ინჟილერი სიძე" აზიანისა.

რეჟისორი **აკაკი**



ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ოთხშაბათს, 28 იანვარს, 1904 წ.**

ა. ა. კარტავინას საბენეფისოდ ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

## ფრა-დიავოლო

ოპერა 3 მოქ. მუს. ობერისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარტავინა, სელიუკ-როზანტკოვსკისა, ბ-ნნი: ფიგნერი, სელივინი, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

II

## სევილიელი დალაქი

(მესამე აქტი)

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარტავინა, სკორუპსკისა; ბ-ნნი: რაისკი, სანგურსკი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი მ. ს. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, ხუთშაბათს 29 იანვარს, გაიმართება ბენეფისი საერთო კასის კასირისა.



## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მურინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ბ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზეერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


ტფილისი, 28 იანვარი.

უბედურად დაიხლართა შორეულ-აღმოსავლეთის საქმე. დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ იაპონიამ თავისი ელჩი და მისი თანამსახურნი გაიწვია რუსეთიდგან და ყოველი მოლაპარაკება რუსეთთან მოსპო. რასაკვირველია, რუსეთიც ასე მოიქცა და თავისი ელჩი ამალითურთ დაიბარა იაპონიიდგან. რაკი თანხმობით აღარა გარიგდა რა, ახლა თოფ-ზარბაზანი უნდა იყოს მართლისა და მტყუანის გამასამართლებელი. თუმცა ამბობენ, ვითომც ელჩების გაწვევა ომის გამოცხადება არ არისო, მაგრამ ჩვენს დროში ომის გამოცხადება საჭიროდ აღარ მიაჩნიათ. გავიხსენოთ ინგლის-ტრანსვაალის ომი. ზარბაზნები უკვე ნახევარი წელიწადი გრიალებდნენ, როდესაც ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებთან ომი გვაქვსო, და გამოაცხადა მხოლოდ, იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფოები პატარა რესპუბლიკებს დახმარებოდნენ იარაღისა და სურსათის მიწოდებით. ეხლა ხომ ომის გამოცხადებას არც ერთი მხარე არ იკისრებს, არც რუსეთი და არც იაპონია. ორივე სახელმწიფოს მრავალი მტერ-მოყვარე და მოკავშირე ჰყავს. ხელშეკრულობის ძალით, მოკავშირეს დახმარება მაშინ არის სავალდებულო, თუ რომ სხვა სახელმწიფომ გაიწვია საომრად, მყუდროება დაურღვია, მის სამფლობელოს შეესია და თუ თვით მოკავშირე სახელმწიფომ ნება-ყოფლობით ასტეხა ომი, მაშინ დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იაპონია, რომ აქამომდე ომს არ უცხადებდა რუსეთს. რუსეთი-კი მოთმინებით აღიჭურვა და, თუმცა საომრად ემზადებოდა, თუმცა თავისი სამფლობელო შორეულ აღმოსავლეთში კარგად გაამაგრა და მანჯურიაც თავისს ჯარით აავსო, მაგრამ მაინც ომის წინააღმდეგი იყო. ან რა ჰქონდა და რა აქვს იაპონიასთან საომარი? რუსეთი იაპონიის მოსაზღვრე არ არის, იმის სამფლობელოში თავისს დღეში ფეხს არ შესდგამს და ეს ფიქრადაც არ მოუვა. რუსეთს უნდოდა მხოლოდ ზღვაზე ჰქონოდა კარი და შესაფერიც შეიძინა ჩინეთისაგან—პორტ-არტური, არა ძალ-მომრეობით, არამედ ხელ-შეკრულობის ძალითა და ვადით—99 წლით. მანჯურია რუსეთს მხოლოდ დროებით აქვს დაჭერილი, როგორც თვით მთავრობა არა ერთხელ ირწმუნებოდა. რუსეთმა თავის რკინის გზას დაუყენა დარაჯი, რომ აღებ-მიცემობა აღმოსავლეთთან მეტის გაბედულობით დაეჭირა და გზის გაოხრების შიში არა ჰქონოდა. როდესაც რუსეთმა მრავალი მილიონები ჩაჰყარა შორეულ აღმოსავლეთში და დიდის ჯაფისა, მეცადინეობისა და მსხვერპლისა, ცოტაოდნად თავისი სურვილი განახორციელა, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ დახარჯული ფული ცოტა ოდენ სარგებელს შემოიტანდა, მაშინ ეუბნებიან აილაგე ბარგი და მოგვშორდიო. ამას ეუბნება არა ჩინეთი, არამედ იაპონია, რომელთანაც დღემდე არავითარი საქმე ირა ჰქონია, არც სამტრო და არც სამეგობრო.

საფიქრებელი იყო, რომ იაპონია რუსეთთან ომს ვერ გაბედავდა, ან რა უნდა გააწყოს? თვითონაც დარწმუნებულია, რომ მარტოდ-მარტო რუსეთს ხმელეთზედ ვერას დააკლებს. უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლიან მხოლოდ ზღვა შეუკრას და ნივთიერად აზარალოს, ციმბირის რკინის გზის შემოსავალი მოაკლოს, რადგან საქონლის ზიდვა შემცირდება. მაგრამ ამ გარემოებაში არც თვით იაპონიას დაეყრება ხეირი, თვით იმასაც დიდი ზარალი მიეცემა, რადგან რუსეთი ხმელეთზედ ფეხს აღარ შეადგმევინებს და თვის ნაწარმოებს აღარ შეატანინებს.

ნუ თუ ამისთანა გამარჯვებას ეძებს იაპონია?

არა გვგონია! იმას სხვა რაღაც იმედი აქვს.

როგორც თანდათან ირკვევა საქმე, იაპონიას მხარს უჭერენ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. ისინი არიან იაპონიასთან ერთად დაინტერესებულნი შორეულ აღმოსავლეთის აღებ-მიცემობაში და იმათა სურთ ჩინეთისა და კორეის გზა შეუკრან რუსეთს. უკვე ვიცით, რომ რაღაც ხელშეკრულობა არსებობს ინგლისსა და იაპონიასა, ერთის მხრივ, და ინგლისს—შეერთებულ შტატებს შორის, მეორე მხრივ. ეს ორი კავშირი, შესაძლოა, გაერთდეს და შეერთებულის ძალით სამი სახელმწიფო რუსეთზედ ამხედრდეს. თუ ეს ასე მოხდა, რაღა თქმა უნდა, ჩინეთიც იმათ მიემხრობა და მაშინ სახიფათო ომი ასტყდება.

წინადაც ვსწერდით, რომ იაპონია ვერა ჰბედავს და ვერც გაჰბედავს ომი გამოუცხადოს, რადგან დარწმუნებული არ არის, დაეხმარებიან სხვა თანამოაზრე სახელმწიფოები თუ არაო. მართალია, ამ სახელმწიფოთა მთავრობის წარმომადგენელნი აქეზებდნენ და დახმარებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ იმისთანა მძიმე საქმის გადაწყვეტა, როგორც ომია, მარტო მთავრობასა და მის წარმომადგენლებს არ შეუძლიანთ, ეს ხალხისა და პარლამენტების უფლებაა, რომელსაც შეუძლიან თვით მთავრობაც გადააყენოს და პოლიტიკა სრულიად შესცვალოს. აი, ამისი ერიდებოდა იაპონიას და ამის გამო ხცდილობდა აეძულებინა რუსეთი და ომი გამოეცხადებინებინა. თუმცა ეს ვერ მოახერხა იაპონიამ, მაგრამ ერთი საორჭოფო საბუთი-კი იხელთა, რომ სხვა სახელმწიფოებიც ჩაითრიოს ომში.

დეპეშით გვეუწყა, რომ რუსეთს თავისი უკანასკნელი პასუხი უკვე გაუგზავნია იაპონიისათვის. ეს პასუხი იაპონიას ჯერ არ მიუღია. პასუხის შინაარსი არავინ იცის. ეტყობა ეს პასუხი იაპონიის ელჩისთვის არ ჩაუბარებიათ და, თუ ჩააბარეს, დაბეჭდილი უნდა იყოს. უფრო საფიქრებელია, რომ პასუხი იმავ წესით გაეგზავნა იაპონიას, როგორც წინად, ე, ი. ადმირალ ალექსეევის შუამავლობით. მაშასადამე, ამ პასუხს იაპონია ადრე ვერ მიიღებს. რადგან იაპონია მოწადინებულია, რომ ავად თუ კარგად, საქმეს მალე მოეღოს ბოლო და ჰფიქრობს, რომ დაყოვნება საშუალებას მისცემს რუსეთს თავისი ჯარი და ფლოტი გააძლიეროს შორეულს აღმოსავლეთში, ამის გამო მოცდა შეუძლებლად-ღა მიაჩნია. თუ რომ რუსეთი ჩვენს პირობებს არ უარ-ჰყოფს, მაშ რატომ ელჩს არ გადასცა პასუხი ან დეპეშით არ გვაცნობა, სასაიდუმლო აქ აღარა არის-რაო? ეტყობა, პასუხი სანუგეშოს არას მოგვიტანს

და სჯობს ეხლავე სხვა გზა მოვნახოთო. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი ელჩის გაწვევისა და მოლაპარაკების მოსპობისა.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება სხვა სახელმწიფოებიც არ დაეთანხმონ და მისი მხარე არ დაიჭირონ. ამაზედ წინადვე მოილაპარაკებდნენ და შეთანხმდებოდნენ ეგრედვე. უამისოდ მარტო იაპონია თავს ვერ გამოიდებდა. თუ ეს ასეა, მაშინ შორეულ-აღმოსავლეთის ომი დიდმნიშვნელოვანი იქმნება თავის შედეგით.

## ტ ფ ი ლ ი ს ი.

— ტყიბულიდან გვ ერენ, ჩვენი სოფელი შესდგება 200 მცხოვრებისაგან და ერთი ხეირიანი სკოლა არ გვაქვსო. სამკითხველოსი და სააავადმყოფოსი ხომ ხსენებაც არ არისო. გვაქვს მხოლოდ ფოსტა, რომელსაც ამ ბოლო დროს ვეღარ ისვენეთო. ყველაზედ ძალიან-კი უექიმობით ვართ შეწუხებულნიო.

— ჯუშინწინ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებაზედ უნდა აერჩიათ ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრი; კანდიდატებიც იყვნენ ამ თანამდებობაზედ, მაგრამ არჩევანი არ მოჰხდა. გემგეობის წევრს მომავალ ორშაბათს აირჩევენ ქალაქის საბჭოს კრებაზედ. მანამდე ხმოსანთ კრება ექმნებათ ამ საგნის შესახებ.

— ერთ სადივიდარაბო საქმედ გადიქცა ქალაქის ცენტრალურ საელექტრონო სადგურისთვის შესაფერ ადგილის გამოძებნა. სადგურის მოსაწყობად არ გამოდგა ქალაქის საკუთარი ადგილები. საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სადგურისთვის ადგილის მოძებნა, შეუდგა სხვა-და-სხვა პირთა ადგილების დათვალიერებას. ამ დღეებში ამ კომისიამ დაათვალიერა სამ ადგილას მამულები და ყველანი უვარგისად იცნო სადგურისთვის.

— ამას წინად ერთმა ხმოსანმა ქალაქის გამგეობას აცნობა, ქალაქის გამგეობის სასამართლო სტოლის საქმეების წარმოება ერთობ ცუდად მიდისო. ქალაქის გამგეობამ მაშინვე დანიშნა კომისია და მიანდო რევიზიის მოხდენა. გამოირკვა, რომ ახლა საქმის წარმოება წესიერად არის დაყენებული, ხოლო წინად-კი საქმის წარმოება უყურადღებოდ ყოფილა დატოვებული. ტფილისის ქალაქის გამგეობამ ორი მწერალი დანიშნა და მათ საქმის მწარმოებელთან ერთად წესიერად უნდა შეასწორონ ყველა ის საქმეები, რომელიც წინად უყურადღებოდ ყოფილი დატოვილი.

— მოკლე ხანში კრება ექმნება კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთ. კრებამ, სხვათა შორის, ამ დღეს უნდა აირჩიოს ახალი წევრნი გამგეობისა.

— კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრმა ბ-ნმა ქალანთარმა წინადადება მისცა საზოგადოებას, ამერიკაში, სან-ლუის გამოფენაზედ, ორი სპეციალისტი გაჰგზავნეთ ადგილობრივ ტეხნიკის შესასწავლადაო. სამეურნეო საზოგადოებამ მოიწონა ეს აზრი და დაადგინა, სთხოვოს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, რომ საჭირო ფული გადასდოს ამერიკაში სპეციალისტთა გასაგზავნად.

— კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ნება მიეცა სან-ლუის საერთაშორისო გამოფენაზედ 10 თებერვლამდე გაჰგზავნოს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებნი.

— მთავარ-მართებლის სამმართველოს სატეხნიკო საბჭოს წევრი ბ-ნი იუტენკო ამ დღეებში სამსახურის საქმეთა გამო, პეტერბურგში მიდის.

— ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, ყოველ გვარი ღონისძიება მიიღოს და ქალაქის ყველა სკოლებისათვის საკუთარი შენობა ააგოს. აირჩია კიდეც კომისია და დაავალა ადგილების მოძებნა სკოლის შენობის ასაგებად.

— სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა დაიქირავა შენობა ქალაქის საავადმყოფოს დიდუბის განყოფილების მოსათავსებლად. სახლი ელისაბედის ქუჩაზეა და ეკუთვნის ხაჯაპარეხოვს. სახლი წელიწადში 600 მანეთად დაიქირავა.

— თელავიდგან გვწერენ, აქ მოასვენეს გვამი სოფელ ახაშენის სამინისტრო სკოლის მასწავლებელ ქალის პეტრიაშვილისა. ქ-ნი პეტრიაშვილი მსხვერპლი გამხდარა ღამის რაინდების მიერ შეურაცყოფისა.

— ტფილისელ ყასბთა თავგასულობამ ქალაქის გამგეობის ყურამდე მიაღწია. ყასბნი ხორცს ჰყიდიან ისე, როგორც თვითონ სურთ. მათთვის არ არსებობს ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება. თუ უთხარით ყასაბს მეტს ნუ იღებ ხორცშიო, მაშინვე ზრდილობიანად გეტყვით, მე ხომ ძალას არ გატანთ, თუ ამ ფასად არ გსურთ, ნუ იყიდითო. ხორცის დუქნების მეთვალყურემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეთო. ქალაქის გამგეობამ დაავალა სავაჭრო პოლიციის აგენტთ, სასტიკი ღონისძიებანი იხმარეთ, რომ ყასბებმა ხორცის შესახებ ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება შეასრულონო.

— პარასკევს, 30 იანვარს, სრულდება 75 წელიწადი რუსეთის გამოჩენილი პოეტ-დრამატურგის გრიბაედოვის გარდაცვალებიდან. ამ დღეს სულის მოსახსენებლად მამა დავითის ეკლესიაში პარაკლისი იქმნება გადახდილი.

— 19-დან 26 იანვრამდე ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა: ხუნაგით — 11 ადამიანი, ყელ-ირევებით 9, საოფლით 3.

— ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ თავის უკანასკნელს კრებაზედ აირჩია საგანგებო კომისია და დაავალა პირუტყვთა სადგომების დათვალიერება ტფილისში. კომისიამ ქალაქის რამდენიმე უბანში დაიარა და მოკლე ხანში დაათვალიერებს ყველა უბნებს.

— 22 იანვარს ოზურგეთში თვითმართველობის დარბაზში კრება ჰქონდათ ახლად დაარსებულ „სამარხ კასის“ წევრთ. კრებამ, რომელსაც ქალაქის მოურავი დ. ცეცხლაძე თავმჯდომარეობდა, პირველად დაადგინა, ჩასთვალოს სამარხ კასის დამაარსებლად ყველა ის, ვინც დღემდე ჩაწერილა წევრად და შემდეგ აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. ამ დღეს 30 კაცი ჩაეწერა წევრად. სულ 130 წევრი ჰყავს კასას.

### ა ნ გ ა რ ი შ ი

ქართული საღამოისა, რომელიც გაიმართა 28 დეკემბერს კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ.

**შემოსავალი:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბილეთების გაყიდვისა და პროგრამებიდან შემოვიდა | 610 მ. | 87 კ. |
| 2. ბაზრიდგან | 102 „ | 20 „ |
| 3. ბუფეტისაგან | 484 „ | 50 „ |
| 4. ჩაისა და ტანისამოსის გასახდელისაგან | 112 „ | 61 „ |
| 5. ფულად შემოწირულება | 161 „ | 25 „ |
| სულ | 1471 „ | 43 „ |

**გასავალი:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბუფეტზე დაიხარჯა | 159 მ. | 61 კ. |
| 2. ცოცხალი სურათები და დარბაზის მორთვა | 114 „ | 00 „ |
| 3. მუზიკა, სიზანდარი და განათება | 90 „ | 00 „ |
| 4. სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი | 163 „ | 7 „ |
| სულ | 526 „ | 68 „ |
| დარჩა წმინდა შემოსავალი | 944 „ | 75 „ |

ფულად შემოსწირეს: ო. ლ. შავგულიძემ 15 მ., მ. მ. დალგატმა, სტ. ელიაძემ და მარიამულმა თითო თუმანი. სიმონოვმა, ნ. ა. კოტლიარევსკიმ, პ. ი. პოპოვმა, მ. არტემიევმა, სპარსეთის ვიცე-კონსულმა დაუთ-ხანმა, ა. ი. ნაუმოვმა, პ. ი. მიტნიკმა, კაზმინმა, ი. ვ. მოზდოკელოვმა, გრ. ვ. მოზდოკელოვმა, თ-დმა გედევანოვმა, ქ. ანდრეევმა, კ. ა. ჰურნიამ, გ. ვ. ბაევმა, ნ. ი. ფაივიშევიჩმა და ი. ა. ცატუროვმა — ხუთ-ხუთი მანეთი. ზამკოვოიმ 4 მან. თ-დმა მაყაშვილმა, პროხანოვმა, ბლაღოჩინმა მღვდელმა ნ. კანდელაკმა, გრ. ვ. პროსვირნინმა, ო. ო. ომაროვმა — სამ-სამი მანეთი. ქ-ნმა სობოლევსკისამ და ნიტაბუხმა — ორ-ორი მანეთი. ა. თ, ფროლკოვმა, სეგეევმა, ი. ილურიძემ, ა. დავითაშვილმა, გ. თეთრუაშვილმა თითო მანეთი. ბუფეტისათვის შემოსწირეს სხვა და სხვა სანოვაგე: ალ. ოქროპირიძემ 2 მან. 50 კ. ღირებული. მეშჩერიკოვმა, 2 მ. გიგაურმა და ჯაშიტოვმა 50 კ. თითომ, ე. ელერდოვმა 1 მ. 50 კ. ალ. გიორგობიანმა 5 მანეთისა, ს. ოქროპირიძემ — 3 მ, 50 კ., ასმატოვმა, საბიროვმა, ვართანოვმა, მამაჯანოვმა — თითომ თითო მანეთისა, სარუხანოვმა მანეთ ნახევარ-მაჩაბელმა მანეთ ნახევარისა, ის. ელერდაშვილმა — 3 მ. 50 კ., გ. ელერდაშვილმა — 1 მ. 40 კ. სულ ბუფეტისათვის შეიკრიბა სანოვაგე 25 მ. 90 კ. ღირებული. სასმელები შემოსწირეს: დ. ზ. სარაჯიშვილმა 2 ვედრო ღვინო და 3 ბოთლი კონიაკი, ზ. კიკნაძემ — 2 ვედრო ღვინო. თითო ვედრო ღვინო შემოსწირეს ზ. მ. ვარდიაშვილმა, ა. ოსიპოვმა, ა. კირაკოზოვმა, ძმ. ჩითავიშვილებმა, ზ. მესხიევმა, პაპუნოვმა, ირ. უშვერიძემ, ნ. ტერ-არუტინოვმა, ო. კოდოვმა, ე. რ. გეურქოვმა, ანდრონიკაშვილმა. ნახევარ-ნახევარი ვედრო შემოსწირეს გ. ოსიპოვმა, სახიევმა, ა. მ. ჩითავიშვილმა, ა. ი. დანიელოვმა, ბ. კირაკოზოვმა, ფარსადანოვმა. ნ. მარკოზიშვილისამ, ი. ტატაეზოვმა, გრ. არ. ტატუნოვმა, თეიმურაზოვმა და იარალოვმა, ქიტუაშვილმა, კ. იარადოვმა, ათაბეგოვმა, ალხაზოვმა (ოთხი ბოთლი) ბადინოვმა 6 ბოთლი, ნადიბაიძემ — 6 ბოთლი. სულ მოგროვდა 24 ვედრო, ანუ 384 ბოთლი ღვინო, რომელიც შეაგროვეს ბ-მა კ. გვარაძემ, ი. მაისურაძემ და ზ. კიკნაძემ. ბ-მა პ. ომ აძემ შეაგროვა შვიდი ფუთი პური შემდეგი პირებისაგან: მ. სხირტლაძემ 30 გირ. ოც-ოცი გირვანქა შემოსწირეს: თ. გოგიბერიშვილმა, სპ. სხირტლაძემ, ვ. ლებანიძემ, ა. ალლაძემ, თ. გიორგობიანმა, ი. და გ. მელაშვილებმა, თ. მელაშვილმა (15 გირ.) ათ-ათი გირვანქა — რ. კერესელიძემ. გ. გოგობერიშვილმა, ვ. ჯალმაიძემ, გ. ომიძემ, გ. რაზმაძემ, გ. ბურდილამეში ას. ბენდიანიშვილმა (12 გ.) ნ. ბურდილაძემ და ნ. ბენდიანიშვილმა (12 გირ.) ნ. გიორგობიანი და ს. გძელიძემ.

საღამოზე ბაზრის გამგემ ს. დ. კალანდირიშვილისამ შეაგროვა ბაზრისათვის სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 54 მან. 30 კ. ეს ნივთები შემოსწირეს შემდეგ პირებმა: ვლ. სოლოვიოვმა — ნივთები ღირებული — 1 მ. 20 კ. ვოლობუევმა — 2 მ. 60 კ. ძმ. გურჯიევმა 1 მ. 15 კ. ივანოვმა — 2 მან. როგოზინსკიმ — 10 მ. 20 კ., ვ. კუზნეცოვმა — 8 მ. 80 კ. ივ. პაკეტურმა — 2 მ. 85 კ. ი. ვ. ლიდსკიმ — 3 მან. 25 კ. სეგალმა — 2 მ. 15 კ. ა. ტარნაგრადსკიმ 2. 50 კ. ძმ. ზიპალოვებმა — 7 მ. 10 კ., ძმ. ბაღდასაროვებმა 5 მ. 50 კ. პ. მიროზოვმა 1 მან. ეკატ და ელ. მოზდოკელოვებისამ ორ-ორი მანეთი თითომ.

დ. ჩუბინიძემ და ლ. წივლაშვილმა მოაგროვეს ნივთები შემდეგ პირთაგან: ოჰანეზოვისაგან 7 მ. ღირებული, ალ. გულბათაშვილმა 6 მ., კ ოთარაშვილმა 5 მ. თითო მანეთის საღირალი ნივთები შემოსწირეს: ი. სვიმონოვმა, მ. ამირანოვმა, კ. აღაჯანოვმა, დ. ბადუროვმა, მ. სარაჯევმა, ა. ტუგაევმა, თ. გიორგობიანმა, ტ. აბულომა, ო. პოპოვმა, გ. ტერპოღოსოვმა, ა. გიორგობიანმა, კ. ნოღაევმა, გ. აბულოვმა, ტ. ტერ-ასატუროვმა, ი. მრევლიშვილმა, ი. ხუმაროვმა, გ. თურმანიძემ, ს. ჯოხურმა მ. ღარიბაშვილმა და ტოკაევმა, ბ. სომხიევმა, კ. წიკლაურმა, დ. ბარათაშვილმა. მანეთ-ნახევრის ღირებული ნივთები შემოსწირეს: ჯაფარ-უსეინმა, ლ. ა. შარმადინმა და ნავროზოვმა, დ. შავთვალოვმა, პ. ბედოიძემ, ზ. ფიცხელაურმა, ი. ქუმსიევმა, ლ. წივლაშვილმა, ტ. წიკლაურმა, ნ. ძაგაშვილმა თითომ 1 მ. 20 კ. აღაჯანოვმა 1 მ. 60 კ. მ. აიდაროვმა 2 მ., ქარშარმაზანოვმა 4 მ., დ. ბადუროვმა 3 მ. 80 კ., ა. აბელოვმა 3 მ. 50 კ., ხეჩატურ-მუხაშამ 50 კ., გ. ჩიკვაიძემ 3 მ. 50 კ., ი. გრიგოროვმა 50 კ., გ. ახვერდოვმა 60 კ., გ. პეტრუზოვმა 4 მ.; ტერ-ასატუროვმა 1 მ. 80 კ., ი. გაბელოვმა 40 კ., ნ. თაბორიძემ, ვ. გრიგოლა ქვილმა, ღარიბაშვილმა, მამულოვმა, ი. კობახიძემ, დ. ჩუბინაძემ — თითომ ორ-ორი მანეთისა; სუმაროვმა 4 მ., გოხალოვმა 4 მ. 50 კ., ყასაბოევმა 50 კ., ჯანიევმა 20 კ., ი. ჩობიკაშვილმა 2 მ. 50 კ., აბულოვმა 60 კ., ივ. დიმ. მაისურაძემ სხვა-და სხვა ფეხთსაცმელები, ღირებული 14 მ., კნ. ნატ. ნიკოლოზ თქიფანიძისამ შეკრიბა ნაცნობთა შორის ფულად 41 მ., რომელიც მოქცეულია ამ ანგარიშში ფულების შემომწირველთა სიაში.

კავკავის სკოლის სამზრუნველო, ყველა ზემოხსენებულ პირთ, რომელთაც შრომა მიიღეს საღამოს გამართვის საქმეში შემოწირულებით თუ პირადის შრომით, უცხადებს უგულითადეს მადლობას და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც არ მოაკლებენ შემწეობას და დახმარებას კავკავის სკოლას ნივთიერის მხრით გასაუმჯობესებლად.

კავკავის სკოლის დროებით გამგე-მასწავლებელი ლ. ბოცვაძე

### ურბნისის სახარება.

ურბნისის სახარება საეკლესიო მუზეუმს და ქსნის სახარება წერა-კითხვის საზოგადოებას გადავეცით“, გვეუბნებოდა ხოლმე დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც ეს ხელნაწერები „ეპოვნა“ და მათ შესახებ ვრცელი მოხსენება დაჰბეჭდა არქეოლოგიურ საზოგადოების მე-5 კრების გამოცემაში. ამ ორთავე წიგნების შესწავლას მაშინ ჩვენც ბევრი დრო შევსწირეთ, მეტადრე ქსნისას, რომელიც მეტად სქელს, კარგად გამოქნილს ეტრატზეა დაწერილი და ბევრი ადგილი, შედარებით სხვა სახარებათა ტექსტისა, მასში შემოკლებულია. საზოგადოდ, ქსნის სახარების ტექსტი ჩვენ გვეჩვენა თავისუფალ თარგმანად. დაბეჭდილ სახარების მართლ-წერასთან შედარებით ფრიად ბევრი განსხვავებაა არა თუ ურბნისის სახარების თარგმანში, არამედ თვით გიორგი მთაწმინდელის ხელნაწერებიდან გადმოღებულს ხელნაწერებშიაც. ეს უკანასკნელი სასწაული მოუხდენია, როგორც გვაუწყა იმავე ბაქრაძემ, კომისიას, რომელსაც ებარა კორექტურა ინგლისის „ბიბლიურ საზოგადოების“ მიერ გამოცემულ ქართულ სახარებისა. ურბნისის სახარება საყურადღებოა არა თუ მარტო ქართულ სახარების თარგმანის ისტორიის შესასწავლად და ტექსტის გამოსაკვლევად, არამედ სხვა მხრივაც.

ამ ურბნისის სახარების ტექსტი დაწერილია ლამაზის ასო-მთავრულით იოანე ტატანელის მიერ და იმავე ტატანელს ყოველი ოთხთავის დასაწყისს სუსხურ ხუცურით დაუწერია სახარებათა სარჩევები ანუ სასწავლები. ურბნისის სახარებას აწერია ქორონიკონი ხრი (602 წ.) და ბაქრაძეს ამ წელს დაწერილად მიაჩნია ეს სახარება. ამავე აზრისაა თ. ჟორდანია. კორნელი კეკელიძემ, რომელმაც წარსულ ზაფხულს შეისწავლა იგივე ურბნისის სახარება, გვითხრა: „ნაგვიანევი დროისა მეგონა ეს სახარება და ახლა მის ტექსტის შესწავლამ სრულიად დამარწმუნა, რომ არა მე-VII საუკ. დასაწყისისა, ამაზედ უფრო ძველიც არისო“. კეკელიძის აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ სახარებაში მან იპოვა ყველა ის ნიშნები, რომლებითაც მეცნიერები აღნიშნავენ სიძველეს ამა თუ იმ ხელნაწერ სახარებისას *). ჩვენ თვითონაც უკვე გამოვთქვით, რომ ურბნისის სახარება უნდა იყოს გადაწერილი (და არა თარგმნილი!) 610 წელსო (6110—5500 ხშირად ასრე ითვლიდნენ ქართველები)=6.0).

და ასე, ურბნისის სახარება გადაწერილია — ტექსტი ასომთავრულით და სახარებათა სარჩევები — ნუსხურით. მაშასადამე, ამ დროს ორთავე ეს ანბანი (ასო მთავრული და ნუსხური) უკვე განვითარებული ყოფილა და, მაშასადამე, ტყუილია ისიც, როდესაც ამტკიცებენ, ვითომ მე X—XI საუკ. ასო მთავრულით წარმოსდგა ნუსხური და ნუსხურით — მხედრულიო.

ჩვენ დღეს არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ ქართულ ანბანებმა როგორ მიიღეს თვისი აწინდელი სახე. მკითხველების ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ შემდეგს გარემოებას.

ურბნისის სახარებაში ჩვენ ვპოვებთ კიდევ მესამე ნაირს ასოებს, დიდის ხელოვნებით და ფერადებით გამოსახულებს. ეს ასოები იდეოგრაფიულებია: დახატულია საგანი და მისი სახელის დასაწყისი ხმა და, ხშირად, თვით საგნის სახეც აღნიშნავენ ამა თუ იმ ასოს. მაგ. გამოსატულია ქარქაში და აღნიშნავს ქანს, გამოხატულია ფარი (საომარი იარაღი) და აღნიშნავს ფარს, კანი გამოსახულია კამბეჩის სახით, წილი წუმწუმას (წურწურას, კუმკუმას) სახით, ხარი — ხარის (=ხარის) თავის სახით აშვერილი რქები და მათ

*) კ. კეკელიძე სიპეირი ახალგაზდაა და კეთილ- ინდისიერი და სანდო მუშ. კი. საეკლესიო მუზეუმსა და წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში შემოკრებილ ნაკადულების შემწეობით მას დაუწერია, როგორც გვატყობინებენ კიევიდგან, 1,000 ფურცლთვანი საკანდიდატო თხზულება.

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

### ს ტ ი ქ ი ო ნ ი.

ლაჟვარდოვან მოწმენდილ ცაზე
უეცბ მოზღვავდა შავი ღრუბელი,
ვით ვეშაპი ზედ გაენართხა,
ჩამოაბნელა მინდორი, ველი.

—

დადუმდა ყველა, განჰქრა ნათელი,
ქვეყანად გამეფდა შავი და ბნელი;
არვინ ელოდა, თუ დადგებოდა
დღე განსაცდელის, დღე საშინელი.

—

განჰქრა სიცოცხლის სურვა, ხალისი,
თავისუფლების ნეტარი წყარო;
რაღაც საზარელს, გულ-საკლავს სურათს
წარმოადგენდა მთელი სამყარო.

—

რომ ვეღარ ნახა ცამ დედამიწა
თვისი ქვეყანა და ტურფა მხარე,
ვეღარ გაუძლო, — კვნესა ამოხდა,
გადმოაბნია ცრემლი მდუღარე.

—

მას მოჰყვა რისხვა, ჭექა, ქუხილი,
ღრუბლებთან ბრძოლა, ომი საზარი,
ძირს დედამიწამ ცას ბანი მისცა
პირიდგან ჰყარა ცეცხლისა ღვარი.

—

გამწვავდა ბრძოლა, — ცა იძლეოდა
მთლად დაქანცული და გულდამწვარი,
რომ დროზედ მას არ მოშველებოდა
ძლევა-მოსილი ეოლის *) ჯარი.

—

ავარდა ცაში მსწრაფლ ქარიშხალი,
იფეთქა ძველმა ნაღველმა გულში
დაჰკრა კიჟინა, ღრუბლებს დაეცა
და გადარეკა სადღაც უფსკრულში.

—

გაჰქრა წყვდიადი, — ცამ გაიღიმა,
გულს მოეფინა შვება, ნათელი
და მზემაც, ნიშნად გამარჯვებისა,
ცას მოულოცა ოქროს სარტყელი.

ლეო.

*) ქარის ღმერთი (ძველ საბერძნეთში).

### პ ე პ ე ლ ა ს

ვუძღვნი ნ. დ—ძეს.

ველზე ყვავილს ესტუმრები,
ჩაგოგდები საბაღნაროს;
ია-ვარდის სურნელებით
მეჯლიშს ჰმართავ სანა-ნაროს.

—

როგორცა გსურს, ყვავილნარში
გინდ პარპაშობ, გინდ ისვენებ;
გინდა სატრფოს, იქავ ბაღში
თავს ტრიალით დაამშვენებ...

—

შენი არის ეს ქვეყანა:
ველ-მინდორი, კორდი, მთანი;
შენთვისა სწვიმს ციო მანანა...
მომწონს შენი უფლებანი.

—

მომწონს... მინდა... გულით მინდა
ვიგოგმანო შენებურად;
ვცნობო იგი წმინდათ-წმინდა,
შენებრ ნებით, ხელმწიფურად...

—

რომ შენს პარპაშს, აღმა-ფრენას.
მაღლა გავყვე, ვინავარდო
და ცაში შენს შვება-ლხენას,
ძირს ეს ტანჯვა შევუფარდო...

—

ვიგრძნო ტკბილი ოდნავ ტკბილად,
უცხოს ჩემთვის ვესალამო
და წყლულების საკურნებლად
ხელი მივცე, ვამალამო...

—

და ეს ტანჯვა შორს გავრიყო,
იმ იმედით, იმავ რწმენით,
რომ სანამ ვარ, შენებრ ვიყო
დღე-ნაკლული, მაგრამ ლხენით.

ცალხელი.

### ქ ა ლ ე ბ ი

(ანაკრეონისა).

ღმერთმა მაგარი
რქა მისცა ხარებს,
აგეთივ ჩლიქი —
ცხენებს და ვირებს.
ფეხის სიმარდე
მისცა კურდღლებსა,
საზარი პირი —
მძვინვარ ლომებსა,
თევზებსა ნიჰი
ცურაობისა
და ფრინველთ ცაში —
ნავარდობისა;
სულისა ძალა
მისცა კაცებსა...
იკითხავთ, ნეტავ
რა ხვდათ ქალებსა?!
ბუნებამ ქალსა,
ნაცვლად აბჯრისა,
ნაცვლად ომებში
სახმარ შუბისა,
მისცა სიტურფე,
მშვენიერება. —
და ბუნებამან
ამით ინება,
რომ ქალმა კარგად
მიჰ ისარგებლოს;
თვის შვენებითა,
მომხიბლავითა
ცეცხლი და რკინა
დაიმორჩილოს!..

ი. ჩ-ლი.

...ორის ჩამოშვერილი ტუჩი), ხან-ზედ ...ლია მიბმული და სხ.

...შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ დონი ...გამოსახულია კაცის თავის სახით. შესანიშ...ავი და დიდ საყურადღებო აქ ის არის, ...რომ აქაც ასოს სახელი (დონი) ემსგავსება ...სიტყვას თავი და არც ამ „თავის" დასაწ...ისი ასო არის დონი. მივიღებთ რა მხედ...ველობაში იმას, რომ „ფარი" უდრის ...ასოს ფ (ფარს), ქარქაშის ფიგურა—ქანს ...), ხარისა-ხარს (ასო ხ) და სხ., უნდა ...ვიფიქროთ, რომ უწინარეს დროს თავ...ის სხვა სახელი ერქმეოდა. და მართლაც ...ვრე ყოფილა: დღევანდლამდე მეგრე...ლები და ლაზები „თავს" უწოდებენ დუ-ს, ...დუდი-ს. რადგან უ=ა სვან. მუ=მეგრ. ...მა=მამა, მუმული=მამალი, სუმი=სამი, ...ხული=სხალი, ჰუბური=წაბლი, ბული=...ბლი) და დ=თ (სვან. ქუთ=ქადა, თხა=...ავილ), კაცადგან=კაცითგან და მრ. სხვ.) ...მიტომ დუდი (შეად. ფრანგ. tête) დრო...ის განმავლობაში სრულიად კანონიერად ...გარდაქცეულა დუ—დ, თუ—დ, თა—დ ...ა თავ-ად (მატბერდის კრებულის შემდ...ენილი სახელოვანი ბერაი თაყვანის-ცემას ...თაყვანის-ცემად ასწორებს, და სამართლი...ანადაც: თაყ-ვანა (თავის დრეკა) შემდეგ ...გადაქცეულა თაყვანა-დ).

...ეს, რაც ვთქვით, ცოტაა კიდევ. ამ ...გვარი ქართული წერა ჩვენ ჩაგვახედებს ...ვით ეგვიპტის ისტორიაშიც, იმ ეგვიპ...ისა, საიდგანაც, ჰეროდოტეს სიტყვით, ...ოვიდნენ კოლხნი, „მოსხთა (მესხია) ...ვარ-მოდგმანი" ეკატეს (VI ს. ქრ. წ.) ...სიტყვით.

...ეს ეგვიპტელებიც, ქართველებივით, ...წერდნენ „კალმით". ამათაც, ქართვე...ლებივით, ჰქონდათ წერა ხუცური (ხუცე...ების, მღვდლების) და მხედრული. იქ ...ლდნენ წერა სიმბოლიური და ფონე...ტიკური, ასოებად ითვლებოდნენ საგნების ...გამოსახულობანი, რომელთა ეგვიპტური ...ხელი იწყებოდა ნიშნობლივ ასოთი. მაგ. ...ეცხლი (ალი) ნიშნავდა ასოს ც, გამოსა...ხულობა ტარისა (თითისტარისა) ასოს ...არს, ფრინველისა—მანს (ძველად ჩვენ...შიც „მფრინველს" სწერდნენ) არწივისა ...ანს და სხ.

...განსაცვიფრია მსგავსება ჩვენებურისა ...ა ეგვიპტურ წერისა. თითქო იქაც ქართ...ველებს უწერიათო შესაფერად თავის ...ნისა: არწივი—ან, ტარი *)—ტარ (ასო ...), ცეცხლი—ცან, **) იკვალები თან და ...ხ.

...აქ ამით ვათავებთ. „ქართველთა მა...ტიანის" მეორე წერილში ჩვენ უფრო ...რცლად განვიხილავთ ამ საგანს და იმა...საც, თუ ქართველთა და ეგვიპტელთ ზნე...ჩვეულებათა შედარება რამდენად ამხი...ლებს ჰეროდოტის თქმულებას, რომ ამ ...ორის ერის—კოლხთა და ეგვიპტელთ—...ზნე-ჩვეულებასა და ენაში ბევრი საერთო ...და მსგავსება არისო.

...დასასრულ, ამასაც აღვნიშნავ. ურბნისის ...სახარების იდეოგრაფიული წერის ნიშნები ...ავსებით არღვევენ იმ ზღაპარს, რომ ვი...თომ ქართული ანბანი მოგონილი იყოს ...უცხოელისაგან, ამიტომ რომ ჩვენში ჯერ ...ყოფილა საგნების გამოსახულობით წერა ...ნუ, უკეთ ვსთქვათ, აზრის გამოთქმა და ...მერე ეს გამოსახულობანი ასოებად გადაქ...ცეულან და წინანდელი სახელი-კი შერჩე...ნიათ (ტარი—ტ, ხარი—ხ, ფარი—ფ და ...სხ.)

...ურბნისის სახარების დაბეჭდვა ყოვლად ...საჭიროა და, იმედია, ამას მოახერხებს ...საეკლესიო მუზეუმი. ტექსტს უნდა დაერ...თოს სრული ლექსიკონიც, რომელიც იქნება ...ქართული თავანკარი ლექსიკონი, მოკლე...ბული არაბულ, თათრულ, მონღოლურ და ...სხ. ენათაგან შემოჭრილ სიტყვებსა.

მ. ჯანაშვილი.

## „ცნობის ფურცლის" უსამართლო პუბლიცისტს.

ეს პუბლიცისტი გახლავსთ «შინ და გა...რედ»-ის ავტორი. იგი ურ-ჭყოფს, როგორც ...ქვემოთ დავამტკიცებთ, ამ პრინციპს: amicus Aristoteles, amicus Plato, sed magis amica veritas (მეგობარია არისტოტელი, მეგობარია პლატონი, მაგრამ ყველაზე მეტი მეგობარია ჭეშმარიტება).

...მას წინად მან უძღვნა „კვალს" და ზდა...ნოვიჩის ოპპოზიციის, იმდენი ივერიის ზდა...ნოვიჩის ბოროტ-მოქმედების შესახებ, რომ ...ვანუ ჩახავთ მარკანეზის მწარმოებლისა თვით...მმართველობის მოსპობით.

მაშ, ავტორის ფიქრით, რაც უნდა მოქმედნა ბ-ნ ზდანოვიჩს, ოპპოზიციას პირში წყალი უნდა ჩაეგუბებია და ხმა არ ამოეღო. ვაშა, ვაშა, პუბლიცისტო, რომ ასეთ რამეებს გვქადაგებთ!

გაიხსენეთ, ბ-ნო პუბლიცისტო(!) თქვენი სარქციელი ამ რამდენისამე წლის წინად. თქვენ არ იყავით, რომ კალლისტრატე ნიკვაძეს სწყევლიდით და აქვავებდით?! მაშ, «კვალი» და ოპპოზიცია სამართლიანად იმავე სამდურავს გეტყვიან, ე. ი. იმდენი იყვირეთ კალლისტრატე ნიკვაძის ბოროტ-მოქმედების შესახებ, ვიდრე პანკის-წევრთა უფლებანი არ შეზღუდესო.

თუ ზდანოვიჩის წინააღმდეგ მისის ოპპოზიციის მოქმედება სამარცხვინოა, თქვენი მოქმედებაც კალლისტრატე ნიკვაძის წინააღმდეგ სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს. ბევრიც რომ ეცადოთ, განსხვავებას ვერ ჰპოვებთ.

რა არის ამის მიზეზი, ბ-ნო «ცნობის ფურცლის» პუბლიცისტო?! ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ, მაგრამ ჩვენც გვაქვს ნება ნათელი მოვფინოთ ბნელს და კადნიერებაში ვერავინ ჩამოგვართმევს, თუ ვიტყვით: თქვენი სარქციელი ამ საქმეში პირადის ანგარიშით არის გამოწვეული.

ძნელია, როდესაც ასეთ მძიმე დანაშაულის ჩადენას ამხილებენ პუბლიცისტს, ძნელია, როგორც დამნაშავესათვის, აგრეთვე მხილებელისათვისაც. მაგრამ რას იზამ! amicus sed magis amica veritas.

არა, ბ-ნო, ოპპოზიცია აქ არაფერს შუაშია. «არ არი ცეცხლი უკომლოდ», ამბობს ფრანგული ანდაზა. თუ მართლა რაიმე ბოროტ-მოქმედება იყო, უოპპოზიციოდაც ადვილად შეიტყობდნენ.

თუ ბოროტ-მოქმედება არ ყოფილა, ბ-ნი ზდანოვიჩი მართალი იყო და ოპპოზიცია მტყუანი. სიმართლის დამტკიცება ადვილია, და არავითარი საბუთი არ არის თვით-მმართველობის გაუქმებისა.

თქვენ ყველაფერში ოპპოზიციას ამტყუნებთ. ზდანოვიჩი ყველაფერში მართალი გამოგყავთ, ძლიერ მოხარული ვიქნებოდით, რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ «ცნობის ფურცელში» ცარიელი სიტყვების მეტი ვერაფერი მოვისმინეთ ამ საქმის შესახებ.

დიად, ასეთის მძიმე ბრალს რომ უდანაშაულო ოპპოზიციას თავს ახვევთ, განგებ რომ თვალს იბრმავებთ, კრიტიკის წინააღმდეგ რომ აღმხედრებულხართ, ყველა ეს ნებას გვაძლევს, გკითხოთ: თქვენ არ გიდევისთ გულში ცეცხლი გულწრფელის პუბლიცისტობისა,

ვასილ წერეთელი.

## ჩვენებური ამბები

**დ. ხონი.** ხონში მეტად გახშირებულია ქათმების და იხვების ქურდობა. ქურდები ისე თავისუფლად დანავარდ-დათარეშობენ საქათმეებში, როგორც თავის საკუთარ სახლში. გათენდება დილა თუ არა, მეზობელ ქალების ჩივილს არ აქვს საზღვარი. ზოგი იძახის: „წუხელ ვიღამაც მამალი მომპარაო", ზოგი ქათამს ჩივის, ზოგი ბატს, ზოგი იხვს, ინდაურს. ზოგიერთი თეთრად ათენებს ღამეს სანთლით გაჩაღებულ სახლში, იქნება ქურდი მომეპაროსო. მაგრამ, არ შეგკამოთ მეტად პირმა, ქურდები არაფერს არ ეპუებიან.

ღამის 12 საათი იქნებოდა, რომ ძაღლებმა ყეფა ასტეხეს სახლის აივანზედ. მე ახალი დაწოლილი ვიყავი, გარედ გახედვა დამეზარა, მაგრამ რადგან ძაღლებმა თანდათან გაცხარებულად იწყეს ყეფა, იძულებული გავხდი გამეხედნა. ხელში დიდი ჯოხი ავიღე და კარებს მივადექ, შევეკითხე, ხმა არავინ გამცა, გავაღე კარი და თვალწინ კარებში შემეხეჩა უშველებელი ახმახი კაცი, ცხვირპირ-ახვეული, მსხვილი კომბლით მხარზე. უეცრივ გულგახეთქილმა რამდენიმე ადლი უკან გადავხტი. შემდეგ, როგორც იყო, ძლივს დავანძრიე ენა, აკანკალებულის ხმით მივაძახე რამდენჯერმე: „ვინა ხარ, ვის დაეძებ?" უცნობმაც მოიმკვდარუნა თავი, მოიტეხა ენა, თავი მოიმანჭა, ძლივ-ძლივობით მიპასუხა: „პეტრია რუხაძეს დავეძებო". იტრიალ-იტრიალა და როგორც იყო გაუდგა გზას.

გათენდა დილა თუ არა, ჩემს სახლში ატყდა ლაპარაკი: „წუხელი ვიღაცას სამი დედალი და ერთი მამალი მოუპარავსო". მე, რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ქურდობა იმ ვაჟბატონის გარდა, რომელიც წუხელ „პეტრია რუხაძეს დაეძებდა-მეთქი", სხვას არ ჩაუდენია. თურმე „პეტრია რუხაძის" მაძებარი ჩემს სათვალთვალებლად ყოფილა მოსული ბალკონზედ და მეორე-კი საქათმისკენ ქათმების გასათხელებლად. აი ამისთანა ოინებს ჩადიან ეს ორფეხა მელატურები.

ხონელებს ნათლისღებას კარგი დარი დიგვიდგა, სხვა-და-სხვა სოფლებიდან დიდძალი ხალხიც დაესწრო; ხონის სასტატო სემინარიის მოწაფეები სასიამოვნოდ უკრავდნენ ორკესტრს. მაყურებელ ხალხს დიდად ესიამოვნა.

ალ. მებუკე.

## კავკასია

მის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელის მიერ გაგრაში დაარსებულ სანატორიაში 15 ახალგაზდას გზავნიან პეტერბურგიდგან, რომ იქ იცხოვრონ და მასთან იმეცადინონ სასწავლებელში, რომელსაც „ზღვაიცა" ეწოდება. გაგზავნის წინად ახალგაზდებს ექიმები შეამოწმებენ.

## რუსეთი

წარსულ წელს შიდა რუსეთიდგან გაუვლია ჩელიაბინზე დასასახლებლად უცხოთ ქვეყნებში 12,167 სახლობას ანუ 79,167 სულს.

— მოსკოვის ლიტერატორთა კრებული 9 თებერვალს სადღესასწაულო სადილს უმართავს არტისტ-დრამატურგს ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინს. პატივისცემი მიზეზი მისი უკანასკნელი დრამა — „დალატია», რომელიც მოსკოვის საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო.

პოდოლის გუბერნიის ქალაქ უშიციდგან კიევის გაზეთებს ატყობინებენ, რომ გუბერნიის მოხელეებს ახალი მონოპოლია მოუგონიათ სასფთექო მონოპოლიის გარდა. ეს მონოპოლია სტამბებს შეეხება. ათამდე თხოვნა მიუციათ სტამბის დაარსების შესახებ და ყველას უარი გამოეცხადა. პოლიცია თურმე სწერს, ახალ სტამბის დაარსება საჭირო არ არისო. ზოგს მოსთხოვეს ცნობები, სად და ვის სახლში გინდა გაალო სტამბაო და ბოლოს მაინც გამოუცხადეს, „საჭიროება არ მოითხოვსო". რადგან მინისტრის ცირკულიარი გამოვიდა, რომ სტამბის დაარსების მსურველს უარი არ ეთქმის მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საჭიროება არ მოითხოვსო, ერთმა მთხოვნელმა საჩივარი გაგზავნა სენატში.

— რუსეთის სატახტო ქალაქმა პეტერბურგმა თანდათან ძალიან გაიწია. ამ ჟამად უჭირავს 75 ჩორსო ვერსტი, ანუ 19,750,376 ჩორსო საჟენი. მარტო შენობას ქვეშ 5,519,632 საჟენი მიწაა.

ქალაქში არის 18,231 შენობა, რომელშიაც 137,000 სადგომია. მცხოვრებთა რიცხვი, 1,900 წლის აღწერილობით, 1.500,000 სულია ორთავე სქესისა. პეტერბურგი შედარებით ახალი ქალაქია, მაგრამ მცხოვრებთა რიცხვით მხოლოდ ოთხს ქალაქს ჩამორჩება ევროპაში— ლონდონს, პარიჟს, ბერლინსა და ვენას.

შენობები დაფასებულია: სახაზინო— 876,000,000 მანათად, ქალაქისა— 209,681,000 მან. და კერძო პატრონებისა—663,000,000 მან. ეს ქალაქის დაფასებულია გარდასახადის შესაწერად, ხოლო, როგორც ყველ.ან, ქალაქის დაფასება ნამდვილ ღირებულებაზედ ნაკლები უნდა იყოს.

— პეტერბურგის ქალაქის მოურავად კვალად პ. პ. ლელიანოვი აურჩევიათ 95 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 61-სა. როგორც ეტყობა, სამოქალაქო ახალ დებულების შემოღებითაც ქ. პეტერბურგის საბჭოს ძველი ელფერი არ შეუცვლია. კვალად წინანდელ საბჭოს მომხრენი იმარჯვებენ.

— ამ დღეებში პეტერბურგიდგან 60 ექიმი გაემგზავრება აღმოსავლეთ-ციმბირში.

## უცხოეთი.

**ოსმალეთი.** სტამბოლში ამ ჟამად კრებაა იმ მოხელეებისა, რომლებმაც მშვიდობიანობა უნდა დაამყარონ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სადაც ოსმალონი და ქრისტიანები არიან დასახლებულნი და ვერა რიგდებიან. აქ არიან უცხოელი აფიცრები, რომელთაგან ოსმალეთის ჟანდარმერია უნდა შესდგეს და მათ დახმარებით რეფორმები შემოიღონ.

როდესაც ეს აფიცრები შეიკრიბნენ, ოსმალეთის მთავრობამ გამოუცხადა, ოსმალურის ჯარის კაცის ტანთ-საცმელი უნდა ატაროთო. ავსტრიის, იტალიისა, ბელგიისა და სხვა სახელმწიფოს აფიცრებმა იქმნება სიამოვნებით შეიკერონ ოსმალური ტანთ-საცმელი, მაგრამ რუსის აფიცრებს-კი ეს არაფრად მოეწონებათო, ამბობს „ნოვ. ვრემია". ოსმალურის გარეგნობით როგორ უნდა განამტკიცონ რუსეთის სახელი სლავიანთა შორის? რუსის ოფიცრები ოსმალეთის აზრისა და სურვილის განმახორციელებელნი ხომ არ არიან, რომ იმათ ფორმაში გამოიკაზმონ? აფიცრობის ხარისხი ხონთქარს ხომ არ მიუნიჭებია? ისინი დღესაც რუსის სამსახურში ითვლებიან, რუსეთის სახელით მოქმედობენ და გარეგნობითაც რუსობა უნდა ეტყობოდეთო.

— პრუსიის მთავრობის შეუდიდურობამ შემთხვევა მისცა ევგენი რიხტერს საყურადღებო სიტყვა წარმოეთქვა პარლამენტში. რის პატრონია პრუსია, რომ სხვა გერმანიის სახელმწიფოებს უწინაურებთ და ვითომც განათლებულ სახელმწიფოთა შორისაც უპირველესი ადგილი უჭირავსო? პრუსიას ყოველთვის უწოდებდნენ ქვეყნად სკოლებისა და ყაზარმების. ყაზარმებით, მართალია, ძალიან დავწინაურდით, ხოლო სკოლებით-კი სხვებს ბევრად ჩამოვრჩით. ამისათვის ჩვენ არავითარი უფლება აღარა გვაქვს პირველობა დავიჩემოთ განათლებულ ქვეყნებთა შორისო. სკოლები რომ ბლომად გვქონდეს, ეგ კიდევ საკმარისი არ არის თავი მოვიწონოთ და ვიამაყოთო. გაზეთი, კრებები, საზოგადოებანი და მრავალი სხვა გამომხატველი ხალხის განვითარებისა და გამაუმჯობესებელი ცხოვრებისა,—აი რას უნდა უწყობდეს ხელს მთავრობა. საქმით-კი ეს ასე არ არისო. ხალხის თვით-მოქმედებას ყოველ ნაბიჯზე პრუსიის სამხედრო ძახილი ეღობება და, თუ მართებლობა ოდნავ შეღავათს აძლევს, ნაცვლად დიდ ჯილდოს თხოულობსო.

**იტალია.** იუსტიციის მინისტრს, სხვათა შორის, შეუმუშავებია და გამოუცხადებია კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ ზოგიერთ დამნაშავეს სასამართლომ პირობით განუჩინოს სასჯელი. თუ რომ დანაშაულობა იმ გვარია, რომ სასჯელი 6 თვით დაპატიმრებას არ აღემატება და მასთან ბრალდებულს პირველად ჩაუდენია დანაშაულობა, მოსამართლეს ნება ექმნება განუჩინოს სასჯელი და გამოსაცდელად ვადა მისცეს განაჩენის აღსრულებაში მოყვანისა. უკეთუ დამნაშავე ვადამდე თავდა.ერით იცხოვრეს და კეთილი ყოფა-ქცევა ექმნება, მაშინ განაჩენს სისრულეში აღარ მოიყვანენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამნაშავე კვალად შეინიშნეს ცუდს საქმეში, განაჩენს მაშინვე აასრულებენ.

**ინგლისი.** ინგლისმა და იტალიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სასამართლოს მიანდონ ყოველ უთანხმოების გარჩევა.

**პანამა.** ახლად დაარსებული პანამის რესპუბლიკის პარლამენტი თავის კონსტიტუციის კანონ-პროექტს უკანასკნელად კითხულობს და დაამტკიცებს კიდეც. კონსტიტუციის ძალით, შეერთებულ შტატებს უფლება ექმნებათ პანამის საშინაო საქმეებში გაერიოს, თუ უწესოება მოხდა რამე. ქალაქს არა სურს ეს მუხლი მიიღოს და უკმაყოფილებასაც ბევრნი აცხადებენ, მაგრამ შტატების სამხედრო გემი ნავთსადგურშია.

## ბიბლიოგრაფია.

Сборникъ свѣдѣній о потеряхъ Кавказскихъ войскъ во время войнъ 1801—1885 г. г. Составленъ А. Л. Гизетти. Подъ редакціей генералъ-маіора Потто.

საყურადღებო ცნობანი შეუკრებია ბ-ნს გიზეტტის ამ კრებულში. ყველას, დიდსა და პატარას, ყურები გვქონდა გამოჭედილი, რომ ვითომც რუსეთს დიდ-ძალი ოფიცრობა და ჯარის-კაცი გაუწყდა საქართველოსა, ამიერ-კავკასიისა და ჩრდილო კავკასიის შესაძენადო. უზომო ფანტაზიის პატრონნი იმასაც-კი ამბობდნენ დიდის რიხითა და გამბედაობით, რომ ფეხის დადგმა მიწას ვერ იპოვნით საერთოდ კავკასიაში, რომელიც რუსის ჯარის-კაცის სისხლით არ იყოს მორწყული და გაპოხიერებულიო. ყურებ-ჩამოყრილნი ჩვენც ვისმენდით ამ დაუსრულებელ საყვედურს, რადგან სწორედ არ ვიცოდით, ამ თითქმის ასის წლის ბრძოლის დროს, რამდენი ჯარის-კაცი გამოესალმა წუთისოფელსა.

ეს ნაკლი შეავსო ბ-ნ გიზეტტის კრებულმა. მართალია, კრებული სრული არ არის, კიდევ დასჭირდება შევსება-შესწორება, მაგრამ ასეთი შევსება დიდად ვერ შესცვლის დახოცილ ჯარის-კაცთა რაოდენობას. გამოტოვებულია მაგალითად ახალციხესთან მოკლული 1828 წ. პრაპორშჩიკი თ. ამილახვარი.

კრებული განყოფილია სამს ნაწილად. პირველში მოყვანილია ცნობანი, თუ რამდენი ოფიცერი და ჯარის-კაცი დააკლდა რუსეთს მთიულებთან ომების დროს 1801—1864 წ., ე. ი. საქართველოს შეერთებიდგან რუსეთთან. მეორე ნაწილში ნაჩვენებია ზარალი რუს-ოსმალთა და რუს-სპარსელთ ომების დროს 1803—1813 წ., რუს-სპარსელთ ომში 1826—1828 წ., აგრეთვე სამის უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომების დროს: 1826—1828 წ., 1853—1854 წ და 1877—1878 წ. მესამე განყოფილებაში ნაჩვენებია ზარალი იმიერ-კასპიის მხრის ომებისა: 1873 წ. და 1880—1881 წ.

სამოცდა ოთხის წლის ომის დროს მთიულებთან რუსეთს მოუკლეს ოფიცერი—804, ჯარის-კაცი 24,143; დაიჭრა: ოფიცერი—3154, ჯარის-კაცი—61,971; ტყვედ წაუყვანია მტერსა: ოფიცერი—92 და ჯარის-კაცი—5915. დაჭრილთაგანი ბევრი გარდაიცვალა, მაგრამ ნამდვილი ცნობა არ არის, თუ სახელდობრ რამდენი.

სპარსეთთანა და ოსმალეთთან ომების დროს მოუკლავს მტერს: ოფიცერი—413, ჯარის-კაცი 12,491, დაჭრილა 1632 ოფიცერი და 35,746 ჯარის-კაცი. დაუტყვევებიათ: ოფიცერი 46, ჯარის-კაცი 2748.

ყველაზე დიდი ზარალი მოსვლია რუსეთს დარგის ექსპედიციის დროს დაღესტანში. ორის კვირის განმავლობაში, ექვს ივლისიდგან 21-მდე, 1845 წ., ლეკებს გაუწყვეტიათ 173 ოფიცერი და 3225 ჯარის-კაცი. ყარსის აღების დროს 17 სეკდემბერს 1855 წ. გაწყვეტილა— 252 ოფიცერი და 7226 ჯარის-კაცი.

სულ ერთად რომ თავი მოვუყაროთ, რაც რუსეთს ზარალი მოსვლია, გამოვა, რომ ამ ომების დროს მტერს მოუკლავს: ოფიცერი 1217, დაუჭრიათ—4786, უგზო-უკვლოდ დაკარგულა ან დაუტყვევებიათ 138, სულ 6141. ჯარის-კაცი მოუკლავთ: 36,654, დაუჭრიათ 97,717, უგზო-უკვლოდ დაკარგულა, ან ტყვედ წაუყვანიათ—7,663, სულ 143,017. ოფიცერთა და ჯარის-კაცთა საერთო ჯამი— 149,159 კაცია. გიზეტტი იმასაც ამბობს, რომ ავადმყოფობამ ერთი სამად მეტი იმსხვერპლა, ვიდრე მტრის ტყვიამაო. ასე რომ 1885 წლამდე რუსეთს დაუკარგავს თითქმის ნახევარ მილიონზე მეტი სამხედრო წოდების კაცი.

ზარალი მართლა დიდია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთმა შეიძინა უმშვენიერესი კუთხე მთელ დედამიწის ზურგზე, სადაც დღეს ექვსი მილიონი ხალხია დასახლებული. ყუბანისა და თერგის ოლქები მთიელებს ეკუთვნოდა. დიდის ხ(ან)ის ბრძოლის შემდეგ რუსეთმა მთიელნი გაასევა, მამული ჩამოართვა და რუსობა დაასახლა. ამ ორ ოლქში დღეს სამ მილიონამდე რუსობა ბინადრობს. მაშასადამე თითქმის ათ მილიონიან ქვეყნის შესაძენად ნახევარ მილიონის ზარალი ხალხით არაფრად ჩასაგდებია.

გიზეტტის კრებულში მოთავსებულია გვარები დახოცილ ოფიცერთა. ქართველთა გვარები ამოვკრიფეთ და შესდგა ასამდე. სამი ამდენი იქნებოდა დაჭრილთა რიცხვი, უვნებლად გადარჩენილთა რაოდენობა ხომ გაცილებით ბევრი იქნება. ასე რომ კავკასიის შეძენა-დამორჩილებაში ქართველობას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ა. ფრონელი.

## წერილი რედაქციის მიმართ

I

«ივერიის» მე 11 №-ში დაბეჭდილია ბ-ნ ძამელის წერილი შესახებ საკვირაო სკოლის დაარსებისა დ. სურამში, სადაც მე ამ ჟამად ვმსახურობ მღვდლად. სხვათა შორის ბ-ნი ძამელი ბრძანებს, რომ საკვირაო სკოლის დაარსების საქმე მომანდეს მე და დღესაც-კი სკოლა არსად ჩანსო.

ბ-ნ ძამელს მე სრულიად ვეთანხმები იმ შემთხვევაში, რომ სკოლის დაარსების საქმე მე მომანდეს, მეც რასაკვირველია, ვცდილობდი, რომ საკვირაო სკოლის დაარსების მოწადინებულთა მონდობილობა გამემართლებინა და ჩემი მეცადინეობაც არ დამეზოგა ამ კეთილის საქმისათვის. მე დაუყოვნებლივ მოვახსენე გორის საეპარქიო საბჭოს განუთფილებას. ხსენებულმა განყოფილებამ ჩემი მოხსენება წარუდგინა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. რა შედეგი მოჰყვა ამ ჩემს რაპორტს, დღემდის არაფერი არ შემიტყვია არ საიდგან და არავისგან. ვგონებ, საკმარისია ბ-ნ ძამელის-

*) ტარი წარმოსდგება ტრიალისაგან, ტარი...საგან.

**) ცა ცეცხლის მომცემლად მიაჩნდათ. შეადარეთ ცია.

ს, რატომ დღეს სურამში არ არის დაარსებული სასწავლო სკოლა, რომლისათვისაც მე საკუთარ შენობას ვუთმობდი და დღესაც მზად ვარ დავუთმო, თუ მთავრობისაგან ნებართვა მოგვეცემა ზემოხსენებულის სკოლის დაარსებისა.

სურამის სამრევლოს მღვდელი
იოსებ ბებიაშვილი.

## II

ნება მოგვეცით თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვუძღვნათ კახის სასოფლო სკოლის სახელით ჩვენს სასიქადულო მღვდელმთავარს, რომლის საფასით წარსულს 1903 წელს და წინა წლებშიაც სკოლას საუმაწვილო „ჭეჭყილი“ მოსდიოდა. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ბატონ. კონსტანტინე მიხეილის ძეს ტარტარაშვილს, რომელიც ზნეობრივ დახმარებასთან წიგნებითაც შეეწევა სკოლას და აქაურ მოსწავლე ახალგაზრდათა პატარა წრეს, რომელმაც ამ ზამთრის კახში გამართულ წარმოდგენის შემოსავლიდგან ერთი თუმანი გადმოგვცა სკოლის სასარგებლოდ.

თუმცა ამ სკოლის ადგილობრივი გულშემატკივარნი სცდილობენ მისი მრავალგვარი საჭიროება—მოთხოვნილებანი ადგილობრივად მოპოვებულ საშუალებათა შემწეობით დააკმაყოფილონ და არ მიჰმართონ ხოლმე ქართველ მოგზაურებს, რომელსაც ისეც ბევრნი თხოვენ შემწეობას და დახმარებას, მაგრამ ვინმე მოისურვებს შემწეობა აღმოუჩინოს წიგნებით თუ ფულად ამ სკოლას, რომლის დანიშნულებაა — სინათლის სხივი შეიტანოს ინგილოს ოჯახში და მით აღზარდოს დირსეული დედაკაცი, აღამაღლოს, გააუკეთესოს მისი მდგომარეობა, — მათ ვთხოვთ, კეთილ ინებონ და თავიანთი განამეტი გამოგზავნონ ჩვენს სახელობაზედ. —

გამგე სკოლისა მღ. ბ. ფურცელაძე.

### „ივერიის“ ფოსტა

ხონი. მკითხველებს. თქვენი „წერილი რედაქციის მიმართ“ არ დაიბეჭდება.

ს—ი. მ. ბ—ეს. უფასოდ ვერ გამოვგზავნით. 7 მანეთად ვუთმობათ სოფლის სკოლებს.

გ—ლს. ჩიტი ბდღვნად არა ჰღირდა, დევი მეტი იყოვო. საკამათო არა არის-რა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 იანვარი

ირკუტსკი. მცხოვრებნი გაფაციცებით მოელიან თუ როგორ გათავდება საქმე შორეულს აღმოსავლეთში. გაჭრობას თვალსაჩინო შეფერხება არ ეტყობა; ოქროს სამრეწველო საქმე ჩვეულებრივად სწარმოებს. ფასნი სურსათის და საკვების სასყიდლად ფასები აუწიეს. აქაურმა მცირე რიცხოვნობის იაპონიის კოლონიამ საგუბერნიო ადმინისტრაციას თხოვნით მიმართეს აღმოუჩინონ მას მფარველობა და დაცვა.

ოდესა. ოდესელი იაპონიის კონსული ფენსტარო იდშიმა დღეს ვენას წავიდა.

ლონდონი. მეფემ მიიღო სანახავად ლორდი რობერტსი და ადმირალი ბერესფორდი.

სეული. იაპონიის ნავთა მიმოსვლა ჩემულპოსა და ფუზან შუა შესწყდა.

ნიუ-იორკი. ბალტიმორში საშინელი ხანძარია. მთელი ნაწილი ქალაქისა, სადაც ვაჭრობა მრეწველობა სწარმოებს, გადაიწვა. ზარალი 80 მილიონს აღემატება. ცეცხლი ...ბას.

ტოკიო. („რეიტერის სააგენტო“). იაპონიაში გახურებული საქმიანობაა. რკინის გზებს საოცარის სისწრაფით მოუდით ნავსადგურებში ...არები გემებზე დასასხმელად. ... ქა...ას ქუჩები ამსებულია ჯარებით. რუსეთის ელჩი მთელის მისიით, აგრეთვე საგენერალო კონსული იოკოგამისა 30 იანვარს გამოვლენ იაპონიიდან.

ტოკიო. 25 იანვარს მოხდა ხანგრძლივი და მოულოდნელი კრება კაბინეტისა. წასვლის წინ რუსეთის ელჩს ერთხელ კიდევ ...ნახულებს მიკადოვო.

პორტ-არტური. იაპონელები ათავებენ საქმეებს და მიეშურებიან, დანარჩენში მშვიდობიანობაა.

პარიჟი. „ჟურნალი დე დებატ“-მა მწუხარება გამოსთქვა, რომ ერთი ნაწილი ინგლისის ჟურნალ-გაზეთებისა სიძულვილით უყურებს რუსეთს, რათა იაპონია გაამხნევოს. —საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ჰგონია, თუ დიპლომატიური დამოკიდებულება შესწყდება იმ დრომდე, ვიდრე რუსეთის პასუხს მიიღებდნენ. დიდს მნიშვნელობას ამ მოვლენისას არ ფარამენ, მაგრამ ჰგონიათ, რომ მოლაპარაკება მაინც იქნება სხვა სახელმწიფოთა კეთილის რჩევით. —ხვალ დილით დელკასე მიიღებს სანახავად კონსერვატორთა დეპუტატს დენიკოშეს, რომელიც შეეკითხება მინისტრს რუსეთ-იაპონიის უსიამოვნებისა შესახებ და აგრეთვე იმ მოსალოდნელი შედეგისა გამო, რომელიც შეიძლება მოჰყვეს რუს-ფრანგთა და ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობებსა.

შერბურგი. ინგლისის და იაპონიის აფიცრები უბრალო ტანისამოსით საფრანგეთის აფიცრის თანხლებით დაათვალიერეს ზღვათა მინისტრის ნებადართველად საზღვაო არსენალი. პრეფექტმა გამოძიება დანიშნა. ამბობენ, ინგლისის და საფრანგეთის აფიცრები დააპატიმრესო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა სმოლნი ინსტიტუტი ნახა.

პორტ-არტური. მიდება და გაგზავნა საქონლისა მანჯურიის რკინის გზით შეჩერებულია. რუს-ჩინეთის ბანკმა მოწერილობა მიიღო, კერძო სესხი აღარ გასცეს. —გემების ესკადრები ხშირად გადიან ზღვაში. მიღებულია ღონისძიებანი, თვალყური ადევნონ საზღვაო კარნიზონს, სურსათის დაცვას, განსაკუთრებით ნახშირისას. სანოვაგეზე ფასები ძალიან აიწია, რადგანაც ნაკლებად შემოაქვთ. იაპონიის სავაჭრო სახლები 25 იანვარს, საღამოთი, თითქმის მთლად დაიკეტა და პატრონები პორტ-არტურიდან წავიდნენ. სეულიდან იტყობინებიან, რომ იქ მისულა ერთი როტა იაპონელ საპერემისო. იაპონელთა ჯარის მოსვლას რომ ხედამენ, ხალხი ღელდება. ცნობა აქვთ, რომ მოზამპოში დიდძალი იაპონელთა ჯარი გადმოსხესო.

27 იანვარი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა, მიღებული მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ 26 იანვარს, შუაღამისას, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა უეცრივ მიიტანეს ნაღმით იერიში რუსეთის ესკადრაზედ, რომელიც პორტ-არტურის ციხის გარე რეიდზედ იდგა, ორი ჯავშნიანი ხომალდი «რეტვიზანი», «ცესარევიჩი» და კრეისერი «პალლადა» შენგრეულ და დაშავებულ იქმნა. ახლა ირკვევა თანდათან, რამდენად არის დაშავებული თითოეული მათგანი. დაწვრილებულს ცნობას დამატებით წარმოვუდგენ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი“.

პეტერბურგი. მთავრობის ცნობა. „ტოკიოს კაბინეტმა, იმ მიზეზით, რომ თანაბარ-თანასწორობა და უფრო მტკიცე წეს-წყობილება უნდა დაარსდეს დიდ ოკეანეს ნაპირებადაო, მოჰმართა შარშან ჩვენს მთავრობას და სთხოვა, გადავსინჯოთ არსებული ხელ-შეკრულობანი კორეის საქმეთა გამოო. რუსეთმა ამაზედ თანხმობა გამოაცხადა. ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით, რაკი იმ დროს ნამესტნიკობა არსდებოდა შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიასა და რუსეთს შორის ახალის მორიგების პროექტის შედგენა მიენდო გენერალ-ადიუტანტს ალექსეევს ტოკიოში მყოფ ჩვენის ელჩის მონაწილეობით. ამავე ელჩს მიენდო წარმოება მოლაპარაკებისა იაპონიის მთავრობასთან. თუმცა შარშან აგვისტოში დაწყებულს მოლაპარაკებას ამ საქმის გამო მეგობრული ხასიათი ჰქონდა, მაინც იაპონიის საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, იქაურმა და უცხოურმა ჟურნალ-გაზეთობამ ყოველი ღონისძიება მოიხმარა, საომრად აეზავთებინათ იაპონელნი და შეეგულიანებინათ მთავრობა იარაღი აისხას და შეებრძოლოს რუსეთსაო. რაკი ასეთს გუნებაზედ დააყენეს ტოკიოს, მთავრობა მოლაპარაკებაში უფრო და უფრო მიზეზიანობა დაიწყო და მეტს პრეტენზიებს აცხადებდა. ამავე დროს განკარგულება განკარგულებას მოსდევდა, რომ ქვეყანა საომრად მოემზადებინა. ყოველ ამ გარემოებამ, დიაღაც, ვერ შეეძლო დაერღვია გულ-დამშვიდება რუსეთისა, მაგრამ აიძულა-კი რუსეთი თვითონაც ზოგიერთი სამხედრო-საზღვაო განკარგულება მოეხდინა. რუსეთს გულ-წრფელი სურვილი ჰქონდა მშვიდობა დაეცვა შორეულ აღმოსავლეთში, რამდენადაც-კი ნებას მისცემდა საკუთარი ინტერესები და უეჭველი უფლებანი და ამიტომ ჯეროვანის ყურადღებით მოექცა ტოკიოს მთავრობის სურვილს და გამოსთქვა, რომ მზადა ვარ შევიწყნაროო, წანანდელ მორიგებისამებრ, სავაჭრო საეკონომიო უპირატესობა იაპონიისა კორეაში და უფლება მისი, თუ ვინიცობაა უწესოება მოჰხდეს კორეაში, იაპონიამ ეს თვისი უპირატესობა დაიცვას იარაღით ხელშიო. მაგრამ ამასთანავე რუსეთი ვერ უღალატებდა თავის პოლიტიკის ძირითადს მუხლს კორეის საქმეში. ეს პოლიტიკა თხოულობს კორეის დამოუკიდებლობას და მისის მიწა-წყალის ხელუხლებლობას, უზრუნველ-ყოფილს, როგორც წინანდელის მორიგებითა იაპონიასთან, ისე ხელ-შეკრულობით, რომელიც დადებული იყო სხვა დიდ სახელმწიფოებთან. ამიტომ რუსეთს არ შეეძლო მტკიცედ არა მდგარიყო და არ მოეთხოვნა, რომ 1) ორივეს უეჭველად დაეცვათ ეს ძირითადი მუხლი; 2) იაპონიას უთუოდ ეკისრა და არც ერთი ნაჭერი მიწა კორეისა არ დაეჭირა სტრატეგიულის აზრით, რადგან ასეთი საქციელი პირდაპირ წინააღმდეგი იქმნებოდა კორეის დამოუკიდებლობის პრინციპისა და დასასრულ 3) დაცული ყოფილიყო სრული თავისუფლება გემების სიარულისა კორეის სრუტეში. ამნაირად შემუშავებულმა მორიგების პროექტმა არ დააკმაყოფილა იაპონიის მთავრობა, რომელმაც, ბოლოსა და ბოლოს, არამც თუ უარ-ჰყო ყოველივე, რაც უზრუნველ-ჰყოფდა კორეის დამოუკიდებლობას, არამედ ამასთანავე მოითხოვა ჩაერთოს იმ პროექტში დადგენილებანი მანჯურიის შესახებ. ასეთი პრეტენზიები იაპონიისა, რასაკვირველია, ვერ იქმნებოდა შეწყნარებული. რუსეთის მდგომარეობის საქმე მანჯურიაში, უპირველეს ყოვლისა, შეეხება ჩინეთს, ხოლო შემდეგ ყველა იმ დიდ სახელმწიფოთა, რომელთაც აქვთ სავაჭრო ინტერესები ცის-ქვეშეთის იმპერიაში. ამიტომ რუსეთის მთავრობას არავითარი საფუძველი არა ჰქონდა ჩაერთო იაპონიასთან დასადებ ცალკე ხელ-შეკრულობაში კორეის საქმეთა გამო რაიმე დადგენილებანი იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც რუსეთის მხედრობამ დაიჭირა. ამასთანავე, რუსეთის მთავრობა არ უარობს შეიწყნაროს, ვიდრე მანჯურიაში ჯარი უყენია, როგორც უზენაესი უფლება ბოგდიხანისა ამ ქვეყანაში, ისე უპირატესობანი, შეძენილნი დიდთა სახელმწიფოთა მიერ ჩინეთთან დადებულ პირობათა ძალით. ყოველ ამის გამო, როცა რუსეთის მთავრობამ მიანდო თავის წარმომადგენელს ტოკიოში გადაეცა იაპონიას ჩვენი პასუხი მისის უკანასკნელის წინადადებისა, უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ ტოკიოს კაბინეტი ყურად-იღებდა ზემოხსენებულ მოსაზრებათა მნიშვნელობას და დააფასებდა რუსეთის სურვილს მშვიდობიანის მორიგებისას. იაპონიის მთავრობამ კი პასუხის მიღებასაც არ მოუცადა და გადასწყვიტა შეეწყვიტნა მოლაპარაკება და მოესპო სადიპლომატო ურთიერთობა რუსეთთან. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა იაპონიასა სდებს კისრად სრულს პასუხის-გებას იმ შედეგისათვის, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ასეთს მისს საქციელს, ხოლო თვით დაუწყებს ლოდინს საქმეთა მსვლელობას და პირველ საჭიროების დროსვე მიიღებს ღონის-ძიებას თვისის უფლებისა და ინტერესების დასაცველად შორეულს აღმოსავლეთში“.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, დეპეშით მიღებული იაროსლავის საგუბერნიო ერობის თანაგრძნობა დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტის გამო იაპონიასთან. ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ხელით კეთილ ინება წარწერა: „წრფელად და გულით ვმადლობ იაროსლავის საგუბერნიო ერობას გულმხურვალე გრძნობათათვის, რომლითაც ამჟამად აღვსილ არიან, როგორც მე დარწმუნებული ვარ, ყველა ჭეშმარიტნი რუსნი“. —25 იანვარს იაროსლავის საგუბერნიო ერობის კრებას დაუდგენია: „იაროსლავის საგუბერნიო ერობის კრებამ, რომელმაც შეიტყო იაპონიის ელჩის პეტერბურგიდამ გაწვევა, ითხოვა დაჰფინოს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფერხთ წინაშე უმაღლესის ალტაკების გრძნობანი, უქვეშევრდომილესი სიყვარული და ერთგულება, და, უკეთუ უფალს ღმერთსა სურს მოუვლინოს სამშობლოს ახალი დიდი განსაცდელი, მზად ყოფნაც, შესწიროს სამშობლოს ტრაპეზსა თვისი სისხლი და ყოველივე თვისი სარჩო-საბადებელი საკეთილოდ თვისის ძვირფასის სამშობლოსი და საღმრთებლის მონარქისა“. —რადგანაც ზაბაიკალის რკინის გზაზე გაძლიერებული მოძრაობაა და გადაზიდვა სხვა რისამე აგრე რიგად შეუძლებელია, გზათა მინისტრის განკარგულებით, დროებით, ახალ განკარგულებამდე, მიმოსვლა ირკუტსკისა და მანჯურიის სადგურთა შორის ჩქარის მატარებლებისა შესწყდა; ამათგან მატარებლის № 1-სა მანჯურიიდან 4 თებერვლიდან და მატარებლის № 2-სა ირკუტსკიდან 8 თებერვლიდან.

პეკინი. კვირას აქ მოვიდა რაზმი რუსთა ჯარისა, აქაურის მისსიის დაცვის გასაძლიერებლად.

შანჰაი. რუსებმა განდევნეს ჩინელი თანაშემწე ტამოჟნის კომისრისა ნიუ-ჩუანში და მისს ადგილზე დანიშნეს რუსის მოხელე სტეფანოვი. —როგორც ამბობენ, რუსის ჯარები საზღვარზე გადავიდნენ.

სოფია. იმ ამბავმა, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის შესაძლებელია ომი ასტყდესო, ყველგან გამოიწვია დიდი თანაგრძნობა რუსეთისადმი. გაზეთებში იბეჭდება წერილები, აღსავსე ძმურის გრძნობებით რუსეთის ჯარის, ბულგარეთის განმათავისუფლებლის, მიმართ, აღსავსე იმედით და სურვილებით, რომ რუსეთმა სძლიოს მტერი. —სალონიკში სამოქალაქო აგენტებმა განუცხადეს ხილმი-ფაშას ზოგიერთ მოხელეთა ბოროტ-მოქმედების შესახებ და მოითხოვეს დააწესონ, რომ ვილაიეტისათვის სპეციალური ბიუჯეტი, რაც დღემდე არ იყო. ხილმი-ფაშამ უპასუხა, რომ ამ საქმის შესახებ მონდობილება არა მაქვსო. —მანიფესტის პატიების შესახებ პორტა ჯერ კიდევ არას აცხადებს.

### პეტერბურგის ბირჟა

21 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,15 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 გაყ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅛ მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 312 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 261 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 192¼ |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91 გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (მოსკოვს მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის ... 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

**ტყიბულის ქვა-ნახშირის სამთა-მადნო საზოგადოებისაგან**

„ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების“ გამგეობას ჰყავს ღუმელების გამოცდილნი გამკეთებელნი და გადამკეთებელნი, რომელნიც ისე მოაწყობენ ღუმელს, რომ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირით ხურდებოდეს, რაიცა 45%-ს ეკონომიას იძლევა შეშასთან შედარებით. ვისაც უნდა ამისთანა ღუმელების გაკეთება, გადაკეთება, მიჰმართოს საზოგადოების „ნახშირის“ გამგეობას. სოლოლაკის ქუჩა, № 16, ტელეფონი 16. (3—1)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში იყიდება ცელულიარულად შემზადებული აბრეშუმის ჭიის თესლი საფრანგეთის ყვითელ და ბაღდადის თეთრი ჯიშისანი. ფასი მისხ. 60 კ. (3—2)

# ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an des Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—49)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

# სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარელოვბის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარე განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

# წიგნის მაღაზია „ცოდნი-“ს გამოცემა

**გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნები**

| | |
|---|---|
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები სურათით | 20 |
| წმინდა გიორგის რაზმი | 5 |
| სამეგრელოს სკოლები | 5 |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები ჩვენი გამოცემანი.

| | |
|---|---|
| სიმღერა აკაკისა | 15 |
| თამარ მეფე | 5 |
| ვაჭრული ჭკუა | 5 |
| დათუნა გოცირიძე და როსტომ ერისთავი ძველებური ამბავი აკაკისა | 5 |
| პატარა ჩონგური ლექსები (დედა-ენა) | 5 |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) | 5 |
| ორი ძოსატყუილა, ბიჭია მენახვირე, მეფე და სკვინჩა — ხალხური ზღაპარი | 10 |
| აბრამის და იოვბის ლექსი | 3 |
| სურათი თამარ მეფისა | 5 |
| კულტურა ლიპერტისა | 50 |
| ლექსიკონი რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა | 50 |

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ ორი მანეთისა დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე. 10—2